

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2020 წლის 8 ივნისის სხდომის

ოქმი #5

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2020 წლის 8 ივნისს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 39 წევრი, სხდომას ესწრებოდა 31.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის დაწყებამდე დააყენა სტუდენტთა თვითმმართველობიდან სამი ახალი წევრის დამატებისა (ახალი წევრების სია იხ. დანართი 1) და მათი უფლებამოსილების ცნობის საკითხი, რაც ერთხმად დაადასტურეს საბჭოს წევრებმა.

დღის წესრიგი:

1. ლაბორატორიული მეცადინეობების და გამოცდების ჩატარების შესახებ;
2. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოში კანდიდატურების წარდგენის შესახებ;
3. საფაკულტეტო სტუდენტური კონფერენციის ვადების შესახებ;
4. საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ;
5. განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსადმი მიმართვის შესახებ;
6. მიმდინარე საკითხები.

1. მოისმინეს: დღის წესრიგის პირველი საკითხი - ლაბორატორიული მეცადინეობების და გამოცდების ჩატარების შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ბატონმა რამაზ ხომერიკმა. 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ლაბორატორიული სამუშაოებისა და ფინალური გამოცდების ჩატარების წესი გასაცნობად წინასწარ დაეგზავნათ საბჭოს წევრებს (იხ. დანართი 2). სხდომის თავმჯდომარემ აცნობა საბჭოს წევრებს, რომ ინსტრუქციაში მოცემულ პირობებს ჩვენი ლაბორატორიების უმრავლესობა აკმაყოფილებს. საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა შემოწმდეს ყველაფერი და წარმოდგენილ იქნას ყველა მასალა, მათ შორის ფოტომასალა, ლაბორატორიული მეცადინეობების განრიგი, გამოცდების განრიგი და ა.შ.

აზრი გამოთქვეს: საბჭოს წევრებმა სჯა-ბაასი გამართეს აღნიშნული საკითხის ირგვლივ. პროფესორმა ნანა კოტრიკაძემ იკითხა, თუ ვინ ყიდულობა ფარებს, ერთჯერად ხალათებს, ანტისეპტიკურ მასალებს და სხვ. ამაზე ფაკულტეტის დეკანმა უპასუხა, რომ ნაწილი თსუ-მ საკუთარი ძალებით შეიძინა, დანარჩენის შეძენას კი სან დიეგოს უნივერსიტეტი-საქართველოს ადმინისტრაცია შეგვპირდა. პროფესორმა თეიმურაზ ლეჟავამ აღნიშნა, რომ საჭიროა დავიცვათ უსაფრთხოების ზომები. მათ შორის, გამოცდების პირისპირ ჩატარებისას და ნაწერი ფურცლების გასწორებისას. ამიტომ, მიზანშეწონილია, რომ მაქსიმალურად ავირიდოთ თავიდან გამოცდების პირისპირ ჩატარება, უპირატესობა მივანიჭოთ ონლაინ ფორმატს და საგამოცდო ნაწერების ელექტრონულად გასწორებას.

დისკუსიაში ჩაერთვნენ პროფესორები ა.შენგელაია, ნ.შათაშვილი და ნ.დორეული. პროფესორმა ნ.დორეულმა აღნიშნა, რომ პრობლემად მიიჩნევს ლაბორატორიული მეცადინეობების-თვის სტუდენტების რაიონებიდან ჩამოყვანას. იგი ეთანხმება იმ აზრს, რომ თუნდაც ბიოლოგიაში ლაბორატორიულ მეცადინეობას ვერაფერი ჩაანაცვლებს, მაგრამ რაიონებიდან ჩამოსული სტუდენტებისათვის, რომლებმაც ნაქირავები საცხოვრებელი ბინები უკვე ჩააბარეს, პრობლემას წარმოადგენს თბილისში ჩამოსვლა. პროფესორმა ნ.შათაშვილმა შეახსენა, რომ ეს გარემოება გათვალისწინებულია დადგენილების პროექტში. პროფესორმა დიანა ძიძიგურმა დაამატა, რომ არჩევანის საშუალება ეძლევათ ლექტორებსაც და სტუდენტებსაც. აკადემიური პერსონალის პროფესიონალიზმის გათვალისწინებით შესაძლებელია მეცადინეობისთვის სასურველი ფორმატის შერჩევა ისე, რომ სწავლების ხარისხი არ დაზარალდეს.

მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ო.ფურთუხია დაინტერესდა, თუ ვინ შეადგენს გამოცდების ცხრილს. ფაკულტეტის დეკანმა განაცხადა, რომ გამოცდების (ონლაინ თუ პირისპირ) ცხრილების გაკეთებას დეკანატი უზრუნველყოფს.

ლაბორატორიულ მეცადინეობების ჩატარების ფორმატთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა სტუდენტმა თ.გოგინაშვილმა. მან საბჭოს წევრებს, შეახსენა, რომ რაიონებში მცხოვრებ სტუდენტებს პრობლემები ექმნებათ ლაბორატორიულ მეცადინეობებზე დასწრებასთან დაკავშირებით. პროფესორმა ა.შენგელაიამ იკითხა, რომ იმ სტუდენტებს, ვინც ჩამოვა და დაესწრება პირისპირ ჩატარებულ ლაბორატორიულ მეცადინეობას, ექნებათ თუ არა უპირატესობა მათთან შედარებით, ვინც ამას ვერ მოახერხებს? ამასთან, მან აღნიშნა, რომ ზოგიერთი სტუდენტი პირიქით, ელოდება მეცადინეობების დაწყებას. შეკითხვაზე ფაკულტეტის დეკანმა უპასუხა, რომ ასეთ სტუდენტებს არ უნდა ჰქონდეთ უპირატესობა. პროფესორმა ნ.შათაშვილიმ წამოაყენა წინადადება, რომ ქულები დაიწეროს ჩატარებული მეცადინეობების წილის მიხედვით, რასაც კატეგორიულად არ დაეთანხმა პროფესორი ნ.დორეული. მან აღნიშნა, რომ სტუდენტი არ უნდა დაიჩაგროს, თუ „ვერ“ ახერხებს რაიონიდან ჩამოსვლას ლაბორატორიულ მეცადინეობაზე დასასწრებად. პროფესორი დ.ძიძიგური არ დაეთანხმა ლაბორატორიული მეცადინეობების სექტემბერში გადატანის გაჟღერებულ იდეას. იგი მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ სტუდენტმა გასწიოს ხარჯი და ჩამოვიდეს მეცადინეობებზე დასასწრებად, თუ ეს სწავლის შედეგების სრულფასოვნად მიღწევისთვისაა საჭირო. ამასთან, ვისაც აქვს ლაბორატორიულ მეცადინეობაზე მოსვლის საშუალება, იმ სტუდენტებს უნდა მიეცეთ ამის შესაძლებლობა. სტუდენტი ლ.ონიანმა მხარი დაუჭირა იმ სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებას, ვინც ჩამოსვლას ვერ მოახერხებს. პროფესორმა გ.ღვედაშვილმაც მიზანშეწონილად მიიჩნია სტუდენტების ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინება.

პროფესორმა ა.შენგელაიამ შეკითხვა დასვა ზოგიერთი სტუდენტისთვის გამოცდების სექტემბერში გადატანის შესახებ. ამაზე ფაკულტეტის დეკანმა აღნიშნა, რომ სექტემბერში გამოცდების გადატანის მექანიზმი ადრეც არსებობდა, მაგალითად, მათთვის ვინც საზღვარგარეთ სწავლობდა, ავად იყო ან სხვ. რაც შეეხება იმას, რომ სექტემბერში შესაძლოა კვლავ შეუძლებელი იყოს მეცადინეობების პირისპირ ჩატარება, მაშინ სულ სხვა რეალობის წინაშე ვიქნებით და კვლავ მოგვიწევს შეკრება და შესაბამისი გამოსავლის მოძებნა.

სტუდენტმა თ.გოგინაშვილმა გააჟღერა სტუდენტების სურვილი, რომ, თუ ეს შესაძლებელი იქნება, გავლილი თეორიული მასალის მიხედვით დაიწეროს ლაბორატორიული მეცადინეობის შესატყვისი ქულა. პროფესორმა ა.გამყრელიძემ იკითხა, შესაძლებელია თუ არა სასწავლო კურსის ლაბორატორიული კომპონენტის შემოდგომაზე გადატანა, თუ სტუდენტი ახლა ვერ ახერხებს დასწრებას, მაგრამ მაღალი ნიშნის მიღება უნდა.

ფაკულტეტის დეკანმა უპასუხა, რომ ეს დაუშვებელია და ლაბორატორიული მეცადინეობები უნდა ჩატარდეს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის პერიოდში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა ლაბორატორიული მეცადინეობების და გამოცდების ჩატარების წარმოდგენილ წესს.

კენჭისყრის შედეგები: ერთხმად დამტკიცდა.

დაადგინეს: დამტკიცდეს 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ლაბორატორიული სამუშაოებისა და ფინალური გამოცდების ჩატარების წესი (იხ. დანართი 2).

2. მოისმინეს: დღის წესრიგის მეორე საკითხი - საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოში კანდიდატურების წარდგენის შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა. მან აღნიშნა, რომ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრები ჩვენი ფაკულტეტიდან იყვნენ პროფესორები ე.ნადარაია და ა.შენგელაია. ბატონმა რამაზმა წინადადება შემოიტანა, რომ კიდევ 2 წლით გაუგრძელდეთ მათ უფლებამოსილება, რადგან მათი მოღვაწეობა გასული 2 წლის მანძილზე მაქსიმალურად ნაყოფიერი იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოში წარდგენილ კანდიდატურებს.

კენჭისყრის შედეგები: ერთხმად დამტკიცდა.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრებად ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტიდან წარდგენილ იქნას პროფესორ ე.ნადარაიას და პროფესორ ა.შენგელაიას კანდიდატურები.

3. მოისმინეს: დღის წესრიგის მესამე საკითხი - საფაკულტეტო სტუდენტური კონფერენციის ვადების შესახებ. ამ საკითხზე ისაუბრა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვაჟა ტრაპაიძემ. მან საბჭოს წევრებს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ყოველწლიური სტუდენტური კონფერენციის ჩატარების ვადებად შესთავაზა 17-23 ივლისი, ამასთან, საბჭოს წევრებს შეახსენა, რომ სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომების დაცვა მიმდინარეობს ამ კონფერენციის ფარგლებში.

აზრი გამოთქვას: პროფესორმა დ.ძიმიგურმა წამოაყენა წინადადება, რომ ერთი კვირით გადაიწიოს ვადებმა არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით. პროფესორმა ო.ფურთუხიამ წინადადება შემოიტანა, რომ უფრო მოქნილი პერიოდი იყოს ამისთვის გამოყოფილი, 17-30 ივნისი, და დეპარტამენტების თვითონ შეარჩევენ სასურველ ვადებს. პროფესორმა გ.ღვედაშვილმა დააზუსტა, რომ შესაძლებელი იქნება დაცვების ონლაინ ჩატარება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს საფაკულტეტო სტუდენტური კონფერენციის ვადების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: ერთხმად დამტკიცდა.

დაადგინეს: მერვე ყოველწლიური სტუდენტური კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ჩატარდეს 2020 წლის 17-30 ივლისს.

4. მოისმინეს: დღის წესრიგის მეოთხე საკითხი - საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თამარ ჭელიძემ. მან საბჭოს წევრებს წარუდგინა ცვლილება დოქტორანტურის 10 კრედიტიანი საუნივერსიტეტო არჩევითი კურსის "კვლევის სტატისტიკური მეთოდების" სილაბუსში. კერძოდ, ლექტორი, აწ გარდაცვლილი ასოცირებული პროფესორი გია სოხაძე შეიცვალა ასისტენტ პროფესორ პეტრე ბაბილუათი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა აღნიშნულ ცვლილებას.

კენჭისყრის შედეგები: ერთხმად დამტკიცდა.

დაადგინეს: შევიდეს ცვლილება დოქტორანტურის 10 კრედიტიანი საუნივერსიტეტო არჩევითი კურსის "კვლევის სტატისტიკური მეთოდების" სილაბუსში და ლექტორი, აწ გარდაცვლილი ასოცირებული პროფესორი გია სოხაძე, შეიცვალოს ასისტენტ პროფესორ პეტრე ბაბილუათი.

5. მოისმინეს: დღის წესრიგის მეხუთე საკითხი - განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსადმი მიმართვის შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა. მან საბჭოს წევრებს გააცნო მიმართვის პროექტში ფაკულტეტის საბჭოს წინა სხდომის შემდეგ შეტანილი ყველა შესწორება.

აზრი გამოთქვას: პროფესორმა ნ.ელიზბარაშვილმა აღნიშნა, რომ წერილში სადმე უნდა ჩანდეს, რომ ფაკულტეტის თანამშრომლებმა ერთხელ უკვე დასვეს ეს საკითხი სამინისტროს წინაშე. პროფესორმა დ.ძიძიგურმა დააზუსტა, რომ ფაკულტეტის თანამშრომლებმა მიმართეს თსუ რექტორს და ამ წერილის საფუძველზე რექტორმა ოფიციალურად მიმართა სამინისტროს. პროფესორი ნ.დორეული დაინტერესდა, თუ რატომ არ მოვიდა პასუხი ოფიციალურად გაგზავნილ წინა წერილზე. ამაზე ქალბატონმა დიანამ უპასუხა, რომ გარკვეული ნაბიჯები სამინისტროს მხრიდან გადაიდგა, თუმცა პროცესი ბოლომდე ვერ მივიდა.

ზემოთ აღნიშნულის შესახებ საბჭოს თავმჯდომარემ შეიტანა შესწორება მიმართვაში (იხ. დანართი 3). შემდეგ კი კენჭისყრაზე დააყენა მიმართვის ტექსტის მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: ერთხმად დამტკიცდა.

დაადგინეს: დამტკიცდეს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსადმი ფაკულტეტის საბჭოს მიმართვის ტექსტი (იხ. დანართი 3).

6. მოისმინეს: დღის წესრიგის მეოთხე - მიმდინარე საკითხები. მიმდინარე საკითხებში განხილული იყო:

ა) ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვაჟა ტრაპაიძემ. მან საბჭოს წევრებს გააცნო ფიზიკის სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის

გადაწყვეტილება (იხ. დანართი 4.1) და დოქტორანტ გიორგი ხაზარაძის სამეცნიერო ხელმძღვანელის, პროფესორ ა.შენგელაიას განცხადება (იხ. დანართი 4.2) სადისერტაციო ნაშრომის სათაურის დაზუსტების შესახებ. დაზუსტებული სათაური ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „მაგნიტური და მაგნიტოელექტრული თვისებების შესწავლა Y-ტიპის ჰექსაფერიტის მონოკრისტალებში“.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

დაადგინეს: დოქტორანტ გიორგი ხაზარაძის სადისერტაციო ნაშრომის სათაურის დაზუსტდეს და დამტკიცდეს შემდეგი სახით „მაგნიტური და მაგნიტოელექტრული თვისებების შესწავლა Y-ტიპის ჰექსაფერიტის მონოკრისტალებში“.

ბ) ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვაჟა ტრაპაიძემ საბჭოს წევრებს გააცნო „გამოყენებითი ეკოლოგიის“ პროგრამის დოქტორანტ სოფიო ვეფხვაძის სადოქტორო თემის სამეცნიერო ხელმძღვანელის, გეოლოგია-მინერალოგიის დოქტორ გიორგი მელიქაძის განმარტება (იხ. დანართი 5.1) სადოქტორო თემაში აღნიშნული „ეკოლოგიური იზოტოპები“-ს შესახებ და დასამტკიცებლად წარუდგინა დოქტორანტ სოფიო ვეფხვაძის სადისერტაციო ნაშრომის დაზუსტებული სათაური „კახეთის ტერიტორიაზე კავკასიონის კარსტული წყლების შესწავლა სტაბილური იზოტოპებისა და ჰიდროქიმიური მეთოდებით“ (იხ. დანართი 5.2). ბატონმა ვაჟამ საბჭოს წევრებს გააცნო აგრეთვე სადოქტორო პროგრამის “გამოყენებითი ეკოლოგია” ხელმძღვანელის პროფ. ლია მაჭავარიანის წერილი, სადაც ფაკულტეტის საბჭოზე დასამტკიცებლად წარმოდგენილია “გამოყენებითი ეკოლოგიის” სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის სოფიო ვეფხვაძის დისერტაციის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის წევრების კანდიდატურები (იხ. დანართი 5.3).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხებს „გამოყენებითი ეკოლოგიის“ სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ სოფიო ვეფხვაძის სადისერტაციო ნაშრომის სათაურის დაზუსტების, აგრეთვე მისი დისერტაციის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის წევრების კანდიდატურების დამტკიცების შესახებ.

დაადგინეს:

ა) „გამოყენებითი ეკოლოგიის“ სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ სოფიო ვეფხვაძის სადისერტაციო ნაშრომის სათაური დაზუსტდეს და დამტკიცდეს შემდეგი სახით: „კახეთის ტერიტორიაზე კავკასიონის კარსტული წყლების შესწავლა სტაბილური იზოტოპებისა და ჰიდროქიმიური მეთოდებით“.

ბ) დამტკიცდეს “გამოყენებითი ეკოლოგიის” სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის სოფიო ვეფხვაძის დისერტაციის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის წევრების წარმოდგენილი კანდიდატურები (იხ. დანართი 5.3).


გ) ასისტ. პროფესორმა თინათინ დავითაშვილმა ფაკულტეტის დეკანს გადასცა მათემატიკის დეპარტამენტის თანამშრომელთა თხოვნა ვირტუალური სასწავლო გარემო Moodle-ისთვის WIRIS-ის ქვიზების პლაგინის შექმნის თაობაზე. ეს პროგრამა იძლევა ფორმულების და ამოცანის ამოხსნის ალგორითმის შემცველი მრავალფეროვანი ელექტრონული დავალებების დაგენერირების შესაძლებლობას Moodle-ში.

ფაკულტეტის დეკანმა გამოხატა დახმარების მზადყოფნა ამ საკითხში.

დ) პროფესორმა ნ.ელიზბარაშვილმა ფაკულტეტის დეკანს მიმართა თხოვნით, რომ აღდგეს სამეცნიერო ონლაინ ჟურნალის „საქართველოს გეოგრაფია“ გამოცემა. 9 ნომერი უკვე გამოშვებულია.

ფაკულტეტის დეკანმა აღუთქვა დახმარება ბატონ ნოდარს აღნიშნული საკითხის მოგვარებაში.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი



ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასისტენტ პროფესორი თინათინ დავითაშვილი



**ფაკულტეტის საბჭოს დადგენილება 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში
ლაბორატორიული სამუშაოებისა და ფინალური გამოცდების ჩატარების წესის შესახებ**

ფაკულტეტის საბჭოს სხდომა 08.06.2020

1. ლაბორატორიული მეცადინეობები ჩატარდეს დისტანციურად ან ადგილზე კურსის წამყვანი პროფესორის/ლექტორის გადაწყვეტილებით და შეფასების ქულა დარჩეს იგივე, რაც სილაბუსითაა გათვალისწინებული. დეპარტამენტებს დაევალოთ ადგილზე ჩასატარებელი ლაბორატორიული მეცადინეობების ჩამონათვალის და შესაბამისი დეტალური ცხრილის წარმოდგენა დაუყოვნებლივ. იმ შემთხვევაში, თუ ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარება მოითხოვს საერთო ცხრილის მოდიფიკაციას, დეპარტამენტმა უნდა წარმოადგინოს მეცადინეობების სრული განრიგი.
2. ფინალური გამოცდები ასევე შეიძლება ჩატარდეს დისტანციურად ან სპეციალურად გამოყოფილ და უსაფრთხო გარემოდ აღჭურვილ სივრცეში კურსის წამყვანი პროფესორის/ლექტორის გადაწყვეტილებით. საგანზე ყველა დარეგისტრირებული სტუდენტისთვის ფინალური გამოცდა ჩატარდება ერთნაირად (ან ყველასთვის დისტანციურად, ან ყველასთვის ადგილზე). დეპარტამენტებს დაევალოთ ადგილზე ჩასატარებელი ფინალური ცხრილის წარმოდგენა თითოეულ სესიაზე სტუდენტების რაოდენობის მითითებით ერთი კვირის ვადაში. რეგიონში მცხოვრებ სტუდენტებს, რომლებიც ვერ ახერხებენ ადგილზე ჩასატარებელ ფინალურ გამოცდებზე ჩამოსვლას, ასევე ყველა სხვა სტუდენტს, რომლებსაც რაიმე საპატიო მიზეზი გააჩნიათ, ფაკულტეტის საბჭო უშუამდგომლებს რექტორის წინაშე გამოცდის სექტემბერში (შემოდგომის სემესტრის დაწყებამდე) დასანიშნად სტუდენტის მიერ წარდგენილი შესაბამისი განცხადების საფუძველზე.